თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №427
2024 წლის 7 ივნისი

ქ. თეთრიწყარო

„თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №353 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №424 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტების საფუძველზე, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №353 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 31 მაისის №424 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 04.06.2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.157.016528) პირველი მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების“ მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ პუნქტი:

„უ) პერსონალური მონაცემების დაცვა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ამავე კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა თედორაძე**